ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 12-50

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-73 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-73 დადგენილებით (ვებგვერდი, 23/12/2014, სარეგისტრაციოკოდი 010260050.35.101.016063) დამტკიცებულ წესდებაში (დებულება) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში:

„ს" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) სააუქციონო პირობის შესრულების შემთხვევაში, დაინტერესებული პირისთვის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (მთავრობის) მოვალისთვის) ქალაქგეგმარებითი შეზღუდვის მოხსნა;";

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს¹" ქვეპუნქტი:

„ს¹) ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული საკითხის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის წარდგენა;".

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-73 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა)ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მიერ განკარგულ ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ მოხსნას, მიწის ნაკვეთის მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანებისა და გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ნივთის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდგომ, განახორციელებს სსიპ ქონების მართვის სააგენტო. ამასთან, მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება რჩება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისუფლებამოსილებად.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ერთეულის ბიუჯეტიდან და არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, არ წარმოშობს მუნიციპალიტეტის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს და არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.პროექტით არ ხდება მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელისშემოღება.

გ) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.